



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე**

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

10 აგვისტო 2011 წელი

**ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 106**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 10 დეკემბრის „სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“ №133 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

**ე ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შევიდეს ცვლილებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 10 დეკემბრის „სახელმწიფო შესყიდვის ტენდერის საშუალებით განხორციელების მიზნით სატენდერო კომისიის შექმნის შესახებ“ №133 ბრძანებაში და ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და ელექტრონული ტენდერის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შეიქმნას სატენდერო კომისია შემდეგი შემადგენლობით: **კომისიის თავმჯდომარე:**

ალეკო მამეშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

**კომისიის წევრები:**

ლავრენტი ქვიციანი - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი;

ავთანდილ მექვაბიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

მიხეილ გოგოტიშვილი – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

ამირან გირკელიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ღაშა თავადე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების, საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი;

თემური მურვანიძე – ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურის უფროსი;

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, სიორიძის ქ.№14).

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**საკრებულოს თავმჯდომარე:**

**ალეკო მამეშვილი**